ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 15230444**

თარიღი:**13/02/2023**

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში და „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1-ის - „ხელმისაწვდომი საცხოვრისის კრიტერიუმები“:

1.1. პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ხელმისაწვდომი საცხოვრისი - იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა მრავალ სართულიან კორპუსში ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე, რომელსაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია გადასცემს შერჩეულ ოჯახებს, 20 წლის განმავლობაში ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის და ბინის საბოლოო გამოსყიდვის უფლებით;“.

1.2. მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე (პროგრამა არ ვრცელდება იმ პირებზე/ოჯახებზე, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს ამ განკარგულების (პროგრამის) ამოქმედების შემდგომ);

ბ) ოჯახის ერთ სრულწლოვან წევრს მაინც უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ბათუმში, ამასთან სულ მცირე პროგრამის ამოქმედებამდე ბოლო ერთი წელი მაინც (პროგრამა არ ვრცელდება იმ პირებზე/ოჯახებზე, რომლებმაც ბათუმში რეგისტრაცია გაიარეს ამ განკარგულების (პროგრამის) ამოქმედების შემდგომ, თუ ოჯახის არცერთი წევრი არ იყო რეგისტრირებული ბათუმში);

დ) ოჯახს საკუთრებაში არ უნდა გააჩნდეს საცხოვრებლად ვარგისი ბინა/სახლი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი, რომლის ფართობი აღემატება 10 კვადრატულ მეტრს (პროგრამა არ ვრცელდება იმ პირებზე/ოჯახებზე, რომლებსაც ამ განკარგულების (პროგრამის) ამოქმედებისას საკუთრებაში გააჩნდათ ამ ქვეპუნქტში მითითებული უძრავი ქონება და იგი გაასხვისეს ამ განკარგულების (პროგრამის) ამოქმედების შემდგომ;“.

2. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის №73 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა განახორციელოს შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 20 წლის ვადით საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ;“

3. წინამდებარე განკარგულება ვრცელდება მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მიმდინარე და შემდგომი ეტაპების სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადებზე და მათ საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე